

რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **თამაზ ნატრიაშვილი**.

თამაზ ნატრიაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საინჟინრო მეცნიერების განვითარებაში. მისი მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობა უკავშირდებოდა მანქანათა შიგაწვის ძრავების თეორიისა და მანქანათმშენებლობის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების კვლევას. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორია. აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და თავისი კვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაში.

სამეცნიერო საქმიანობას ბატონი თამაზი წარმატებით უთავსებდა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, მაღალი პროფესიონალიზმითა და საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულებით. მისი

ხელმძღვანელობით მომზადდა ათზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი, რითაც მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი სამეცნიერო კადრების აღზრდასა და მომავალი თაობის მეცნიერთა ჩამოყალიბებაში.

თამაზ ნატრიაშვილის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტისთვის, ქართული მეცნიერებისა და მთლიანად ჩვენი საზოგადოებისთვის.

მისი სახელი და სამეცნიერო მემკვიდრეობა ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართულ საინჟინრო მეცნიერების ისტორიაში.

ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და მოწაფეებს.